


მოსწავლის  ბიბლიოთეკა

ანტუან დე სენტ-ეზიუპერი

# პატარა პრინცი



ფრანგულიდან თარგმნა მერაბ ფიფიაშვილი



გაერ სულაკაურის  
გამომცემლობა


*ედვინება ლეონ ვერტს*

უპირველესად, ბოდიშს მოვეუხდით ბავშვებს იმის გამო, რომ ეს წიგნი ზრდასრულ ადამიანს მივუძღვენი.


ჩემი ეს გადაწყვეტილება რამდენიმე მიზეზმა განაპირობა: პირველი, რომ ლეონი ჩემი საუკეთესო მეგობარია. იმასაც დავამატებ, რომ მას ამქვეყნად ყველაფრის გაგება შეუძლია, თქვენ წარმოიდგინეთ, საბავშვო წიგნებისაც კი. არის კიდევ ერთი გარემოებაც: ის ამჟამად საფრანგეთში ცხოვრობს და ნამდვილად არ ულხინს, მეტსაც გეტყვით, შია და სცივა. ძალიან სჭირდება ჩვენი ნუგეში. თუ ეს ყველაფერი ჩემი გადაწყვეტილების გასამართლებლად საკმარისი არ აღმოჩნდება, მაშინ ავდგები და ამ წიგნს იმ პატარა ბიჭუნას მივუძღვენი, რომელიც ოდესღაც ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო. მოგეხსენებათ, ყველა ზრდასრული ადამიანი თავიდან ბავშვია, თუმცა, სამწუხაროდ, ეს ჭეშმარიტება ბევრს აღარც კი ახსოვს. მოკლედ, თქვენი ნებართვით, მიძღვნის ტექსტს ამგვარად შევასწორებ: ეძღვნება ლეონ ვერტს, როცა ის პატარა ბიჭუნა იყო.

# I

ბევრი-ბევრი, ექვსი წლისა თუ ვიქნებოდი, როცა ერთ მშვენიერ დღეს არაჩვეულებრივი სილამაზის წიგნს წავაწყდი სათაურით – „ნამდვილი ამბები“, რომელიც უღრან ტყეზე მოგვითხრობდა. ამ წიგნს ამშვენებდა ერთი შესანიშნავი ნახატი: მახრჩობელა გველი, რომელიც მტაცებელ ცხოველს ყლაპავს. გთავაზობთ იმ ნახატის ასლს.




იქვე ამოვიკითხე ასეთი რამ: „მახრჩობელა გველი დაუღეჭავად ყლაპავს თავის მსხვერპლს, რის შემდეგაც ველარ ინძრევა, ძილი ერევა და მონელებას დაახლოებით ექვს თვეს ანდომებს“. მახსოვს, როგორ ჩამაფიქრა მაშინ ამ სიტყვებმა. წარმოსახვაში ვხედავდი, რა საოცარი თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება შეიძლებოდა გაეტარებინა ადამიანს ჯუნგლებში. პირველი ნახატი ფერადი ფანქრით შევასრულე, დავნომრე კიდეც. ნახატი ნომერი 1 ასეთი გამომივიდა:



ჩემი შედეგრი სასწრაფოდ უფროსებს ვაჩვენე, თან გულისგამანვრილებლად ყველას ერთსა და იმავეს ვეკითხებოდი, ჩემი ნახატი შიშის ზარს თუ გცემთ-მეთქი. უბრალო შლაპამ, აბა, როგორ უნდა შეაშინოს ადამიანიო, – უკვირდართ მათ.

სინამდვილეში ჩემს ნახატზე შლაპა კი არა, ბოა იყო გამოსახული, რომელიც სპილოს ინელებდა. მაშინ გადავწყვიტე, რომ ეს მახრჩობელა გველი შიგნიდან დამეხატა, რათა დიდები ჩემს ჩანაფიქრს მიმხვდარიყვნენ. ზრდასრულ ადამიანებს, მოგეხსენებათ, ყოველ ნაბიჯზე ახსნა-განმარტება სჭირდებათ. ნახატი ნომერი 2 აი, ასე გამოიყურებოდა:



დიდებმა მირჩიეს, მახრჩობელა გველებს ნურც შიგნიდან დახატავ და ნურც გარედან, ბევრად აჯობებს, თუ საერთოდ შეეშვები ამ საქმეს და გეოგრაფიით, ისტორიით, არითმეტიკითა და გრამატიკით დაინტერესდებიო. ამგვარად, მივანებე თავი 6 წლის ასაკში ფერმწერის ბრწყინვალე კარიერას. ნომერ 1 და ნომერ 2 ნახატების წარუმატებლობამ სა-

კუთარი თავისადმი რწმენა საგრძნობლად შემირყია. უფროსი ადამიანები დამოუკიდებლად ვერაფერს იგებენ, ბავშვებისთვის კი ძალიან დამქანცველია ყველაფრის დანვრილებით განმარტება და დაღეჭვა.

მოკლედ, იძულებული გავხდი, სხვა ხელობაზე მეფიქრა და არჩევანი თვითმფრინავის პილოტობაზე შევაჩერე. მინდა გითხრათ, რომ თითქმის არ დარჩენილა ადგილი, სადაც არ მიფრენია. აქვე ვაღიარებ, გეოგრაფიის ცოდნამ ფასდაუდებელი სამსახური გამიწია: არიზონა ჩინეთში არ მერეოდა – თვალის ერთი შევლებითაც ვარჩევდი ერთმანეთისაგან. ერთი სიტყვით, გეოგრაფიის ცოდნა ძალიან სასარგებლოა, თუ ვინიცობაა, ღამე გზა აგებნა.

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში არაერთ სერიოზულ ადამიანს გადავყრივარ. ვინ მოთვლის, რამდენი წელი გამიტარებია მათ სიახლოვეს. ძალიან ახლოდანაც მინახავს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათზე უკეთესი შთაბეჭდილება შემექმნა. როცა გავიცნობდი ზრდასრულ ადამიანს, რომელიც სხვებთან შედარებით მახვილგონიერი მეჩვენებოდა, უმალ სურვილი მიპყრობდა, მასზე ექსპერიმენტი ჩამეტარებინა. დავაძრობდი ხოლმე ნახატ ნომერ 1-ს, რომელიც მუდამ თან დამქონდა. უბრალოდ მინდოდა, დამედგინა, მიხვდებოდა თუ არა რამეს. სამწუხაროდ, ყველა ერთსა და იმავეს მპასუხობდა: „ეს შლაპაა“. აბა, რა აზრი ჰქონდა ასეთებთან მახრჩობელა გველებზე, ულრან ტყეებზე ან, გნებავთ, ვარსკვლავებზე ლაპარაკს? ამ დროს ვცდილობდი, როგორც იტყვიან, მათი ინტერესების სფეროს მოვრგებოდი, ესე იგი, ვცბედობდი ბრიჯსა და გოლფზე, პოლიტიკაზე ან სულაც ჰალსტუხებზე. ისინიც, თავიანთი მხრივ, აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ, რომ ჩემნაირი კეთილგონიერი და განსწავლული ადამიანი გაიცნეს.

## II

ვცხოვრობდი ასე – სრულ მარტოობაში, ხმის გამცემი არავინ მეგულებოდა, რომელსაც ზოგჯერ გულს გადავუშლიდი. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ექვსი წლის წინ საჰარაში იძულებითი დაჯდომა არ მომიხდა. რაღაც ჩაიმსხვრა ძრავაში, თან არც ბორტინჟინერი მახლდა და არც მგზავრები. თავიდანვე შევეგუე იმ აზრს, რომ შეკეთებას მარტო უნდა შევედგომოდი, რაც ძალიან მძიმე და რთული საქმე იქნებოდა, მაგრამ აუცილებლად უნდა გამომსვლოდა. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი მედგა. წყალიც მხოლოდ ერთი კვირის სამყოფი თუ დამრჩენოდა.

პირველი ღამე პირდაპირ ქვიშაში მეძინა, უდაბნოში, დასახლებული ადგილიდან დაახლოებით ათასი მილით დაშორებულ ადგილას. ალბათ შუაგულ ოკეანეში, გემის ჩაძირვას სასწაულებრივად გადარჩენილი და შემთხვევით ტივზე მოხვედრილი ადამიანიც კი არ იგრძნობდა თავს ასე ეულად. წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა მეორე დღეს დილაუთენია ვიღაცის წვრილმა, მიკნავებულმა ხმამ გამომალვიდა.


– გეთაყვა... დამიხატე ბეკეკა!

– აა?

– დამიხატე ბეკეკა!..

ჩემთვის ეს მოწმენდილ ცაზე მებხის გავარდნის ტოლფასი იყო. სასწრაფოდ წამოვხტი ზეზე. თვალები მოვიფშვნიტე, ყურადღებით მივიხედ-მოვიხედე და, დახეთ საოცრებას! – ჩემ წინ არაჩვეულებრივი პატარა ბიჭუნა იდგა და სერიო-

ზული გამომეტყველებით მათვალისწინებდა თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილებამდე. აი, საუკეთესო პორტრეტი, რომლის შექმნაც მოგვიანებით შეეძელი. ცხადია, ისეთი კარგი ვერ გამომივიდა, როგორც სინამდვილეში იყო, მაგრამ, ძალიან გთხოვთ, მე ნურაფერს დამაბრალებთ. პასუხი უფროსებს მოჰკითხეთ, რომლებიც ექვსი წლის ასაკში გამუდმებით მიჩინებდნენ, შენგან მხატვარი არ დადგება, შენგან მხატვარი არ დადგებაო. ჩემი, როგორც ფერმწერის კარიერაც სწორედ ამ ჩინიმა შეინირა! მეც სხვა რა გზა მქონდა, მხოლოდ მახრჩობელა გველების ხატვით ვიცქვევდი თავს. დიახ, ვხატავდი გველებს – გარედან თუ შიგნიდან.





ამ დაუჯერებელ გამოცხადებას თვალეზადმოკარკლული შევცქეროდი. არ დაგავინწყდეთ, რომ დასახლებული ადგილიდან ათასი მილით მაინც ვიყავი დაცილებული. პატარა ბიჭუნას გამომეტყველების გამო აზრადაც კი ვერ გავივლებდი, რომ გზა აებნა, ან კიდევ მშიერ-მწყურვალი და დაზაფრული იყო. არა, იგი ნამდვილად არ ჰგავდა დასახლებული ადგილიდან ათასი მილით დაშორებულ, ქვიშის ოკეანეში დაკარგულ ბავშვს. როგორც იქნა, მეტყველების უნარი დამიბრუნდა და ამოვღერდე:

– კი მაგრამ... კი მაგრამ, აქ რას აკეთებ?

მან ისევ სერიოზული გამომეტყველებით ხმადაბლა გამიმეორა:

– გეთაყვა... დამიხატე ბეკეკა.

ეს ყველაფერი იმდენად შთამბეჭდავი, ამოუხსნელი და იდუმალი მეჩვენა, რომ უარის თქმა არც კი გამივლია გულში. როგორ აბსურდულადაც უნდა მოგეჩვენოთ, აქ, ამ უკაცრიელ ადგილას, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მყოფმა, ჯიბიდან ქალაღდის ფურცელი და ფანქარი მაინც დავაძვრე. მაგრამ მერე გამახსენდა, რომ ხატვაზე ბევრად უკეთ გეოგრაფია, ისტორია, არითმეტიკა და გრამატიკა მესმოდა და პატარას, ცოტა არ იყოს, ბრაზიანად მივახალე, ხატვა არ ვიცი-მეთქი.


– არა უშავს. დამიხატე ბეკეკა, – იყო პასუხი.

რადგან ჩემს სიცოცხლეში ბეკეკა ერთხელაც არ დამეხატა, ვიფიქრე, მოდი, იმ ორი ნახატიდან, რომლებიც ასე თუ ისე გამომდის, ერთ-ერთს დავუხატავ-მეთქი. ანუ ბოა გარედან მქონდა მხედველობაში და პირდაპირ გავოგნდი, როცა ბიჭუნამ შენიშნა:


– არა, არა! მახრჩობელა გველის მუცელში სპილოს ნუ დამიხატავ! მახრჩობელა გველი ძალიან საშიშია, ხოლო

სპილო – ძალიან დიდი, ბევრ ადგილს იკავებს. ჩემთან კი სივინროვია. მე მჭირდება ბეკეკა. დამიხატე ბეკეკა.

სხვა რა გზა მქონდა, ავდექი და დავუხატე, რასაც მოხვდა.



ბიჭუნამ ყურადღებით შეათვალიერა ნახატი და თქვა:  
– არა, ასეთი ავადმყოფი და ღონემიხდილი ბატკანი არ  
მითხოვია. სხვა დამიხატე.  
ალარ ვეურჩე.



ჩემმა ახალშექმნილმა მეგობარმა თავაზიანად და კეთილად შემომლიმა:

– შენც ხომ მშვენივრად ხედავ, ეს ბეკეკა კი არა, დიდი ცხვარია. რქებიც კი აქვს...

ისევ დავყევი დამკვეთის ახირებას.




ახალი ვარიანტიც არ მოენონა:

– ეს ძალიან ბებერი ჩანს, მე კი მინდა ბეკეკა, რომელიც დიდხანს იცოცხლებს.

ახლა კი ნამდვილად ამევსო მოთმინების ფიალა – თან ძრავა მქონდა სასწრაფოდ დასაშლელი, ამიტომ უცებ დავუჯღაბნე და მივახალე:

– ეს ყუთია! ბეკეკა, რომელიც ასე გსურს, შიგნით ზის.

გამიკვირდა, როცა ჩემი პატარა მსაჯულის სიხარულისგან გაბრწყინებული სახე ვიხილე.



– აი, სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო ჩემი ბეკეკა. როგორ ფიქრობ, ბევრ ბალახს შეჭამს?

- რატომ მეკითხები ამას?
- იმიტომ გეკითხები, რომ იქ, ჩემთან, ყველაფერი პატარაა.
- ამას ნამდვილად ეყოფა. მე ხომ სულ პატარა ბეკეკას გაძლევ.
- ბიჭუნა ნახატს დააცქერდა.
- არც ისეთი პატარაა... შეხედე, ჩასძინებია...
- აი, ასე გავიცანი პატარა პრინცი.